IBSU

სამაგისტრო პროგრამების კატალოგი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(ქართულენოვანი)

2022 წ

შინაარსი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ 3
ფინანსები 4
განათლების ადმინისტრირება.....11
შედარებითი კომერციული სამართალი.....14
ციფრული მედია და კომუნიკაცია.....23

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2

საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006
contact@ibsu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში
https://ibsu.edu.ge/ge/masters/

ფინანსები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 70 - სპეციალობა / 30 ინგლისური

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული, როგორც ლიდერი, ქმნის ფინანსების მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, აყალიბებს ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ კულტურას, სახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს გადასაჭრელად; შეუძლია საკუთარი და სხვისი მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, დადებითი მიზნების მოტივირება და სტიმულირება; ფლობს სრულ ინფორმაციას და არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებაში, ფსიქოლოგიურად არის მომზადებული სწრაფად ცვალებად გარემოში მუშაობისათვის; ორიენტირებულია პროცესზე, დინამიკურ და მოულოდნელ სიტუაციებში იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და მინიმუმამდე დაყავს განუსაზღვრელობის რისკი.

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება	**კურსდამთავრებულმა იცის:** • ბიზნესის და ეკონომიკის მართვის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები; რაოდენობრივი ანალიზის და შეფასების, გადაწყვეტილების მიღების პრინციპები და მეთოდები. • ბიზნესის კვლევის თანამედროვე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები. • ფინანსური რესურსების მართვის სისტემა; ფინანსური სისტემის თავისებურებები და ფინანსური ბაზრების თეორია; რისკების მართვა; ფინანსური შუამავლები, როგორც ფინანსური სისტემის რგოლი; კაპიტალის ფასი და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსები, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვა. • სავალუტო ბაზრის მუშაობის პრინციპები და რისკების მართვა; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობა; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის მეთოდები; მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები. • ინვესტიციების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტის არსი და მისი ანალიზი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზი და შეფასება. • კორპორაციული მართვის პრინციპები საფინანსო დაწესებულებებში; შიდა კორპორაციული დოკუმენტები; სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა და ფუნქციების გამიჯვნა; დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები. • თანამედროვე საფინანსო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენის, ანალიზისა და შეფასების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ფინანსური ინსტიტუტების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმი. **კურსდამთავრებული აცნობიერებს:** • ბიზნესის ადმინისტრირების როლს ბიზნესის მართვაში; ანალიზის და მენეჯმენტის როლს ბიზნესის განვითარებაში; • ფინანსური მენეჯმენტის როლს ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურის და ფინანსური სისტემის რეგულირების მნიშვნელობას და მეთოდებს; ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების როლს; ფინანსების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში. • საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მართვის როლს; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობის და ანგარისშწორების მეთოდებს; მსოფლიოს წამყვანი საკრედიტო ბაზრების მუშაობის თავისებურებებს და ბანკთაშორის საკრედიტო ბაზრის როლს; საერთაშორისო საბანკო

	ურთიერთობების არსს და საქართველოს ამ სისტემაში ინტეგრირების მნიშვნელობას. • საინვესტიციო პროექტის შეფასების და ანალიზის მნიშვნელობას; ბიზნეს–გეგმის შედგენის მიზნებს და მეთოდიკას; ბიზნეს–გეგმის როლს ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	**კურსდამთავრებულს შეუძლია:** • ბიზნესის მართვის, ბიზნესის შეფასების და ანალიზის მეთოდების გამოყენება პრაქტიკული ბიზნესის განვითარების შეფასებაში და დაგეგმვაში; • ფინანსური სისტემის თავისებურებების გამოვლენა და დახასიათება; ფულადი საშუალებების განაწილება და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების გამოვლენა და შეფასება; კაპიტალის ფასის განსაზღვრა და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსების, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის დახასიათება და მისი მართვა; ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფინანსური მექანიზმების გამოყენება; ფინანსური ინფრასტრუქტურის დახასიათება და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მონაწილეობა. • სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების გამოყენება; სავალუტო ბაზარზე მუშაობა; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის მოდელის დახასიათება. • ბიზნეს–გეგმის როლის აღწერა ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; რეგულირების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით კომერციული ბანკის ფუნქციონირების ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. • ფინანსური რისკების გონივრული მართვა; თეორიული კონცეფციების პროფესიულ საქმიანობაში გადატანა; საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა და მათ ფორმირებაში გადასახადების როლის შეფასება; საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და მისი ოპტიმიზაცია.
დასკვნის უნარი	**კურსდამთავრებულს აქვს:** • ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების გამოყოფის და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების უნარი; • ფინანსების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი;

	• საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტების ანალიზის საფუძველზე საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა კვლევისა და შედეგთა განზოგადების უნარი; • საინვესტიციო პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; • ფინანსების სფეროში არსებული პრობლემატიკისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით
კომუნიკაციის უნარი	**კურსდამთავრებულს აქვს:** • საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და მისი პრეზენტაციის უნარი; • ფინასების სფეროში საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბების, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან მათი წარდგენის უნარი წერილობით და ზეპირად; • დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული დასკვნებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენის უნარი; • იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისათვის უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. • უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიების, გაგებისა და გადმოცემის უნარი.
სწავლის უნარი	**კურსდამთავრებულს აქვს:** • სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის უნარი; • სწავლის პროცესის სპეციფიკის გააზრების და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; • სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და ცოდნის რეგულარულად განახლების უნარი დარგობრივი ლიტერატურის კითხვით; • სწავლის შემდგომ ეტაპზე გაგრძელების უნარი.
ღირებულებები	**კურსდამთავრებულს აქვს:** • ზოგადად ბიზნესის და უშუალოდ ფინანსების სფეროში არსებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; • ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; • ბიზნესის ეთიკური ნორმების პატივისცემა და მათი დაცვის უნარი; • პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვის უნარი.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ანვითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განისაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ.

ფინანსების მაგისტრს შეუძლია იმუშაოს საფინანსო სისტემის ყველა რგოლში ზოგადად და ფინანსური მართვის სფეროში, კერძოდ: კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მაღალი

დონის სამენეჯერო პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, საკონსულტაციო ფირმებში, ერთობლივ საწარმოებში და ა.შ.
ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსებში) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ფინანსების, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

განათლების ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: განათლების ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე“ – https://iro.ibsu.edu.ge/en/home).

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, მნიშვნელოვანია, სტუდენტს გააჩნდეს ინგლისური ენის კომპეტენცია, რადგან განათლების ადმინისტრირების სფეროს მნიშვნელოვან საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით მწირია; შესაბამისად, აუცილებელია, რომ სტუდენტმა მოახერხოს ინგლისურ ენაზე არსებული უახლესი მასალის გაცნობა.

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS, FCE და CAE). აგრეთვე, ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან). დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ

IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით:

70 - სპეციალობა / 30 ინგლისური

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

სტუდენტს შეუძლია დარგობრივი თეორიების, პრინციპების, პრაქტიკის, მიმდინარე ცვლილებების განსაზღვრა და სირთულეების იდენტიფიცირება:

1) განათლებასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სისტემის, ისტორიის, თეორიების, რეფორმებისა და პროფესიული ეთიკის აღწერა და რეპროდუცირება;

2) განათლების ადმინისტრირების პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის სიღრმისეული და სისტემური ანალიზი;
3) განათლების სისტემის ძირითადი გამოწვევების კრიტიკული გააზრება საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.

უნარები

4) უნარი გამოიყენოს დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა მუშაობისას, კომპლექსური პრობლემების ახლებურად გადაჭრისას და განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების, კვლევის დამოუკიდებლად და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დაგეგმვისას და განხორციელებისას;
5) უნარი გამოიყენოს შესაბამისი მეთოდები მასალების შეგროვებისას, ილუსტრირებისას, ინტერპრეტირებისას, შეფასებისას, რეკომენდაციების მომზადებისას და წარდგენისას;
6) წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, პროფესიულ საზოგადოებაში საკუთარი აზრის ფორმულირებისა და არგუმენტირების უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7) თვით- და ურთიერთშეფასების, დამოუკიდებელად სწავლის სტრატეგიული დაგეგმვის, მოდიფიცირებისა და რეალიზების უნარი.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამაზე გამოყენებულია სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- გონებრივი იერიში (Brainstorming)
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი
- შემთხვევების შესწავლა
- წერითი მუშაობის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- ელექტრონული საშუალებებით სწავლება

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი –91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

ჩვეულებრივი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა 51 - 90-ს ფარგლებშია.

წარჩინებითი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა არანაკლებ 91-ს ტოლია.

დასაქმების სფერო

ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმება, რომლებიც მუშაობენ განათლების საკითხებზე. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

შედარებითი კომერციული სამართალი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: შედარებითი კომერციული სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა
- საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) (ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, TOLES Advanced. IELTS და FCE) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში. გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 30%-70% შესაბამისად.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

1. იდენტიფიცირებას უკეთებს კომერციულ და, ზოგადად, ბიზნეს სამართლის სფეროში მოწესრიგების პრობლემურ ეროვნულ სეგმენტებს თეორიულ-დოგმატურ სიბრტყეში, ასევე სამოსამართლეო სამართალში წარმოჩენილ თანამედროვე აქტუალურ საკითხებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
2. ფლობს კომერციული სამართლის სისტემური (ტრადიციული ქვედარგების - კორპორაციული, სანივთო, სავაჭრო და მომიჯნავე საჯარო-სამართლებრივი სფეროები) მოწესრიგების თაობაზე სიღრმისეულ ცოდნას, როგორც შიდა ეროვნულ ისე, საერთაშორისო დონეზე, აცნობიერებს სამართლის ამ სეგმენტის ადგილს ზოგადად სამართლის სისტემაში და იმ თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს მას არასამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან;
3. ფლობს ტრადიციული სამართლებრივი ოჯახების (კონტინენტურ-ევროპული - გერმანული, რომანული, სკანდინავიური და შერეული, ასევე ანგლ-ამერიკული საერთო სამართლის, შორეული აღმოსავლეთისა და რელიგიური სამართლის მოდელების) მიდგომებს სამეწარმეო და კომერციული ურთიერთობების მოწესრიგებისას;

4. იცნობს კომერციული ურთიერთობების მოწესრიგების ევროპულ უნიფიცირებულ და ჰარმონიზებულ მოდელს ისევე, როგორც წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობებში ერთიანი ევროპული სამართლის დანერგვის ნაირსახეობებს;
5. იცნობს კომერციული სამართლის ეტიმოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებთან მჭიდრო კავშირის სპეციფიკას;
6. იცნობს უცხოურ სამოსამართლეო და საარბიტრაჟო პრაქტიკას და მის როლს ცოცხალი სამართლის ფორმირებაში.
7. იცნობს კვლევის განხორცელების შედარებითსამართლებრივი მეთოდის სპეციფიკას.

უნარი

8. იდენტიფიცირებას უკეთებს ეროვნული საკორპორაციო, სანივთო, სავაჭრო სამართლის პრობლემას და განსაზღვრას მათ აქტუალურობას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინამძღვრების გათვალისწინებით;
9. კომერციული სამართლის პრობლემებზე შედარებითსამართლებრივი და ემპირიული მეთოდების გამოყენებით, ახორციელებს მაღალი აკადემიური სტანდარტების შესაბამის კვლევას და საკუთარი არგუმენტირებული შედეგების პრეზენტირებას;
10. მონაწილეობს ნორმათშემოქმედებით საქმიანობაში, კერძოდ, უზრუნველყოფს ნორმის ფორმულირებას და დასაბუთებას.
11. პრაქტიკულ გარემოში ახორციელებს პროფესიულ საკონსულტაციო ანალიტიკურ და წარმომადგენლობით ფუნქციებს ადგილობრივი ბიზნეს და კომერციული წრეების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამეწარმეო საქმიანობის სტრატეგიის ფორმირების, ეფექტიანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დაგეგმარებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბიზნესპროექტების რეალიზაციაში სამართლებრივი მხარდაჭერის (სამართლებრივ-დოკუმენტალური უზრუნველყოფა ქართულ და ინგლისურ ენებზე) უზრუნველყოფის გზით;
12. ახდენს ბიზნეს ოპერატორთა მიერ უცხოეთში კლასიკური და ალტერნატიული მართლმსაჯულების ფარგლებში წარმოებული დავების სამართლებრივ მხარდაჭერას საბაზისო სამართლებრივი მასალის მოძიებისა და ანალიზის მეშვეობით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

13. სრულყოფს საკუთარ პროფესიულ განვითარებას კომერციული და ბიზნეს სფეროს მომწესრიგებელი სისტემის ეროვნული და საერთაშორისო მოდელების განვითარების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნების გზით;
14. ახდენს ადგილობრივი და უცხოური დოქტრინის შესაბამისი ასპექტებისა და სამოსამართლეო სამართლის დამოუკიდებელად თანამედროვე მონაცემთა ბაზებისა და განახლებადი საერთაშორისო წყაროების გამოყენების გზით შესწავლას;
15. პროფესიულ წრეებთან, ბიზნეს ოპერატორებთან და საჯარო სუბიექტებთან, ისევე, როგორც სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობას წარმართავს ადეკვატური კომუნიკაციის მეშვეობით ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროფესიული ეთიკის, ინტერესთა ბალანსისა და სხვა სამართლებრივ ღირებულებათა დაცვით.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი ამოცანები და სხვა), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულ და მედიაციის კლინიკებს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **როლური თამაში** - სპონტანური, კრეატიული და რეალურთან მიახლოებული სწავლების სტრატეგია, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი აიძულებს მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. როლური თამაშები კარგად გამოიყენება იურიდიული განათლების კონტექსტში, სადაც სასამართლოს საქმიანობის წარმოსახვას ითვალისწინებს. სტუდენტებისთვის უჩვეულო როლში ყოფნა მათ აძლევთ საშუალებას სიტუაცია დაინახონ სხვა პერსპექტივიდან. როლური თამაში საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის.
- **საკლასო სიმულაციები სამართლის სწავლებისთვის** - მოიცავს შემდეგს: სასამართლო განხილვები, იმიტირებული პრცესები; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები: მედიაცია, არბიტრაჟი, მოლაპარაკებები. კლიენტის გამოკითხვა და კლიენტის კონსულტირება; კანონის მიღების პროცესი; საპარლამენტო დებატები; საკანონმდებლო საქმიანობა (კანონის მომზადების პროცესი). საკლასო სიმულაციის ეტაპები: იმ საგანმანათლებლო მიზნის განსაზღვრა, რომელსაც ემსახურება სიმულაცია; შესაბამისი კაზუსის მომზადება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სიმულაციას; სიმულაციის გათამაშება; სიმულაციის შეფასება; სიმულაციის გადამუშავება.
- **საკანონმდებლო სიმულაცია** - ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საკითხზე, რომლის საკანონმდებლო მოსმენა შესაძლებელია ქალაქის საბჭოსა თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. მნიშვნელოვანია, სტუდენტების ნაწილი წარმოადგენდეს კანონმდებელს, ხოლო მეორე ნაწილი მოსახლეობას ან დაინტერესებულ ჯგუფს. სტუდენტები გაყოფილნი იქნებიან შემდეგ როლებზე: ა)კანონმდებლები ან კომიტეტის წევრები - საშუალოდ 5-9 კანონმდებელი, მაგრამ ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს სტუდნტების რაოდენობის გათვალისწინებით.ერთი კანონმდებელი დაინიშნება კომიტეტის თავმჯდომარედ. ბ) მოწმეები - მოწმეები რაოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კოკრეტულ საქმეზე.მოწმებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ განსხვავებული შეხდულებები.
- **სასამართლო პრაქტიკის შესწავლა** - სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოითხოვს სტუდენტებისაგან პრობლემური სიტუაციების გაანალიზებას და დასკვნების გამოტანას შესაბამის გადაწყვეტილებებში. არსებობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სხვადასხვა ფორმა: სასამართლო პრეცედენტებზე დაფუძნებული სამართლებრივი საქმეები; სავარაუდო სიტუაციები, რომლებიც მოიცავს დავების ან რაიმე დილემის გადაწყვეტას; ასევე რეალურ სიტუაციებს ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა

რესურსებიდან. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ძირითადად დაფუძნებულია წერილობით ფორმაზე, ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს აუდიოვიზუალური საშუალებებით, როგორიცაა ფილმის ყურება და აუდიოჩანაწერის მოსმენა. პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას; პრობლემების გადაწყვეტას; არგუმენტებზე და განსხვავებულ პრობლემებზე მითითებას; გადაწყვეტილებას ან შედეგს წარმოდგენილ საქმეზე; მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს.

- **იმიტირებული სასამართლო პროცესი** - იმიტირებული სასამართლო პროცესი წარმოადგენს როლურ თამაშს, რომელიც გულისხმობს სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს განხილვებს. სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით განიხილავს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოწმეებს არ იძახებენ. ძირითადი ფაქტებიც არ არის სადავო. არგუმენტები მომზადებულია და წარმოდგენილი სასამართლო კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით(მაგ: რომელიმე კანონის კონსტიტუციურობა). მვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესები არ არის დამყარებული მხოლოდ მოწმის სანდოობაზე, ისინი წარმოადგენენ ეფექტურ სტრატეგიას სტუდენტების ყურადღების ფოკუსირებისათვის სამართლის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებზე.
- **მაგალითების შესწავლა:** სამართლებრივი საკითხების სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას კანონი რეალურ საქმეებსა და სიტუაციებს მიუსადაგონ. მაგალითები წინასწარ უნდა იყოს შედგენილი და სწავლების მიზანს მორგებული. სასურველია, მეთოდი გაერთიანდეს სხვა ისეთ მეთოდებთან, როგორიც არის დისკუსია მცირე ჯგუფებში, როლური თამაშები, აზრთა/იდეების გაცვლა და სხვა.
- **კაზუსის მომზადება:** კაზუსი არის ლექტორის მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაჭრას. ამ დროს სტუდენტები წარმოიდგენენ, რომ ქმნიან დეტექტიურ ისტორიას. კაზუსის მომზადებას იწყებენ იმ პრობლემათა ჩამონათვალით, რომელთა განხილვაც მათ სურთ კაზუსის მეშვეობით. სასურველიაა კაზუსი შეიცავდეს: შესავალს; ფაქტების და წინაისტორიის აღწერას; გამოსაყენებელ სამართლის ნორმებს; სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაჭრაც უნდა მოხდეს.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ რეალურ ან ჰიპოთეტურ შემთხვევებს, მათი ყოველმხრივი და საფუძვლიანად შეისწავლის მიზნით. მეთოდი მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული საკითხის არსებული გადაწყვეტის ანალიზს, ისე კონკრეტიკის განზოგადების შესაძლებლობის შეფასებას.
- **დიალოგი სოკრატეს მეთოდით** - სოკრატეს მეთოდი წინასწარ შექმნილი ან არასწორად გაგებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოკვლევის მიზნით ეხმარება სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. სამართლის სტუდენტებთან პროდუქტიულია სოკრატეს დიალოგის შემდეგი ტიპების გამოყენება: ცოდნა, ანალოგია-შედარება და კრიტიკული აზროვნება. ა) ცოდნა - აღნიშული ტიპის დიალოგის ჩატარების წესი მოიცავს ცოდნის კონცეფციის იდენტიფიცირებას, რომელიც ლექტორს სურს, რომ სტუდენტმა გაიგოს იმ კითხვების მეშვეობით, რომელიც სტუდენტებს მიიყვანს ამ ცოდნამდე. ბ) ანალოგია - წინასწარ შეირჩევა კაზუსი, შესაბამისი კითხვებით, რომლის ფაქტებიც შესაძლებელი იქნება შეიცვალოს მათი განხილვის დროს. სწორად

დასმულ კითხვებს სტუდენტები მიჰყავთ დასკვნებამდე. გ) კრიტიკული აზროვნება - აღნიშნული სოკრატეს მეთოდი იყენებს კითხვებს იმისათვის, რომ შეამოწმოს სტუდენტთა ღირებულებები, პრინციპები. აქცენტი კეთდება აზროვნებაზე იდეების მიღმა, და არა იდეების ცოდნაზე. მოითხოვს საკლასო გარემოს, რომელსაც ახასიათებს ე.წ. „პროდუქტიული დისკომფორტი“ და უფრო მეტად გამოიყენება იმისთვის, რომ წარმოჩენილ იქნას სირთულე, კომპლექსურობა და გაურკვევლობა, ვიდრე ფაქტების გამოვლენაზე.

- **გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება** - ეხმარება სტუდენტს მოერგოს პროფესიულ როლს და გაითავისოს იგი. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის უნარებს; ეხმარება კომუნიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში; ასევე იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლებაპასუხობს სტუდენტის რეალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესს.
- **კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა)** - კონტინუუმი არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს გამოხატონ თავიანთი პოზიციები სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ეს ძალზე სასარგებლოა სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის ლექციამდე ან ასევე ლექციის შემდეგ იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად იქნა გაგებული ახალი მასალა, რადგან მეთოდი მოიცავს სტუდენტების ფიზიკურ მოქმედებას და შესაბამისად პასიურ სტუდენტებსაც კი ახალისებს გულახდილი ლაპარაკისთვის.
- **Classifying Arguments (არგუმენტების კლასიფიცირება)** - არგუმენტების კლასიფიცირება სასამართლო პრაქტიკის შესწავლის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ამ აქტივობის პროცესში, სტუდენტები შეისწავლიან შემთხვევებს, შემდეგ კი გადაეცემათ არგუმენტების სია. ეს სია აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორივე მხარის არგუმენტებს. სტუდენტები კითხულობენ და აფასებენ თითოეულ არგუმენტს, შემდეგ კი იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მხარის მიერ არის წარმოდგენილი არგუმენტები - მოსარჩელის თუ მოპასუხის. ეს აქტივობა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, რომლითაც სტუდენტები ეცნობიან უზენაესი სასამართლოს საქმეებზე არსებულ არგუმენტებს. ერთი მხრივ, სტუდენტებს აქვთ მთავარი არგუმენტები, მეორე მხრივ კი მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ საკუთარი არგუმენტები უკანა პლანზე არსებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ.
- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით;
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ

სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების <u>ინდუქციური</u> მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების <u>დედუქციური</u> მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში <u>ანალიზის</u> მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. <u>სინთეზის</u> მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები** - მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შეფასებათა მინიმალური კომპეტენციის ზღვრები

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

საპატიო (შუალედური/დასკვნითი) გამოცდები

თუ სტუდენტი ვერ დაესწრება გამოცდას (შუალედურს ან დასკვნითს), მას უფლება აქვს ისარგებლოს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით, შზსუ-ს აკადემიურ კალენდარში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

სტუდენტებმა უნდა დაასაბუთონ გამოცდის გაცდენის მიზეზი ფაკულტეტზე შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

საპატიო გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი ან საპატიო გამოცდების გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.

დამატებითი გამოცდა

სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი გამოცდით, თუ:

ა) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის 41-50 ქულა;

ბ) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედურდა დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ დასკვნითი შეფასებისას ვერ გადალახა ამ ეტაპისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპენტენციის ზღვარი

შეფასების ფორმების ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი კომპონენტები:

- შუალედური გამოცდა (წერითი, ზეპირი ფორმით ან კომბინირებული);
- აქტიურობა სემინარებზე / ჯგუფური მუშაობისას;
- პრეზენტაცია;
- საშინაო დავალება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;
- მომზადებული მასალის წარდგენა;
- რეფერატი;
- დისკუსია /დებატები;
- როლური /სიტუაციური თამაშები;
- ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა;
- იმიტირებული სასამართლო პროცესი;
- საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება და სიმულაციების მონაწილეობა;
- კლინიკური კომპონენტის შესრულება;
- დასკვნითი გამოცდა (წერითი, ზეპირი სახით ან კომბინირებული).

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (91 და მეტი ქულა) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (81-90 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (71-80 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (61-70 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (51-60 ქულა) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (41-50 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (40 და ნაკლები ქულა) -შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე თემაზე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიჭებული ქულა
1	აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10	
4	სიახლე	10	

5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5	
7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	
8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტიანობა	10	
სულ		**100**	
საბოლოო შეფასება			

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროა:

- ადგილობრივი და საერთაშორისო იურიდიული კომპანიები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს კომპანიები;
- საჯარო სამსახურის სტრუქტურები შესაბამისი პროფილით;
- საკონსულტაციო კომპანიები;
- სხვა ორგანიზაციები, სადაც საჭიროა იურისტის კვალიფიკაციის მქონე კადრი.

კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ციფრული მედია და კომუნიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ციფრული მედია და კომუნიკაცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე“ – https://iro.ibsu.edu.ge/en/home).
გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).
უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი, თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან წარმოადგენს შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონის (B2) დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში
გამოცდები ინგლისურსა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 30%-70% შესაბამისად.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

1. კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, კონცეფციებისა თუ მეთოდების, ციფრული მედიის განვითარების ტენდენციების, ციფრული მედიასამართლისა და ციფრული მედიაეთიკის შესახებ;
2. ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებისა თუ ფორმების შესახებ;
3. კურსდამთავრებული აცნობიერებს ციფრული მედიაპლატფორმების მუშაობის სპეციფიკას; სტრატეგიული კომუნიკაციის როლს; სოციალური მედია ანალიტიკის ინოვაციურ ხერხებსა და ციფრული მედიაპროდუქციის აუდიტორიაში გავრცელების ფორმებს;

4. კრიტიკულად იაზრებს და ეძიებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს; იცის, როგორ შექმნას ორიგინალური ახალი პროექტები და ინოვაციური პროდუქტები; როგორ დაგეგმოს და მართოს სოციალური მედიის სტრატეგიები და კამპანიები.

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. იძიებს და ამუშავებს ინფორმაციას, ქმნის კონტენტს; გამომუშავებული აქვს წერის უნარი; ფლობს ციფრული ამბის თხრობისთვის საჭირო ხერხებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს (ტექსტი, ფოტო, აუდიო, ვიდეო თუ ვები); გეგმავს და მართავს სოციალური მედიის სტრატეგიებსა და კამპანიებს;
2. ამზადებს და ავრცელებს მულტიმედია პროდუქციას სხვადასხვა ციფრული პლატფორმებისა და აუდიტორიისთვის;
3. ამუშავებს და აანალიზებს მონაცემებს; წარმოადგენს მათ ვიზუალური ხერხებით;
4. კრიტიკულად აანალიზებს რთული ან არასრულ ინფორმაციას; იყენებს კვლევისთვის შესაბამის მეთოდოლოგიას; ატარებს სოციალური მედიის ანალიზსა და მონიტორინგს; აყალიბებს დასკვნებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტების დაცვით.
5. ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას, როგორც კოლეგებთან, ისევე აუდიტორიასთან, მრავალფეროვან მედიაპლატფორმებზე და სოციალურ მედიაში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

აქვს გამომუშავებული პროფესიული პასუხისმგებლობა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ციფრული მედიაინდუსტრიისა და ციფრული სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროს საჭიროებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი,** რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით;
- **დემონსტრირების მეთოდი,** რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ

შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

- **სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები** - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.
- **ელექტრონული საშუალებებით სწავლა/სწავლება** - გულისხმობს სწავლებას და სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.
- **ამოცანების ამოხსნა** - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.
- **პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები** - მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

(C) კარგი – 71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დასაქმების სფერო

სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე მედიისა და კომუნიკაციის გამოწვევებს.

კურსდამთავრებულს შეეძლებათ დასაქმება, როგორც ონლაინმედიაში, ასევე ტრადიციულ მედიაორგანიზაციებში (ტელევიზია, გაზეთი, ჟურნალი, საინფორმაციო სააგენტო); საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, მულტიმედიაჟურნალისტებად, პროდიუსერებად, სოციალური მედიის მენეჯერებად და ა.შ;

რამდენადაც, პროგრამა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გარდა, ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნასაც იძლევა მედიასა და კომუნიკაციაში, ეს კარგი საფუძველია მომავალი პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობისთვისაც. კურსდამთავრებულს სურვილის შემთხვევაში შეეძლება სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზეც.